

ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინებისა და მოზარდ-მაცურებელთა პროფესიული თეატრის მიერ განხორციელებული საქმიანობის 2020 წლის შემაჯამებელი ანგარიში

---

2020 წლის 1 კვარტალში დაიდგა ერთი ახალი სპექტაკლი: მ სუპონინის „ბუტიას“ მიხედვით, ახალი ვარიანტი „გაბუტული ბაჭია.“ ინსცენირების ავტორი და რეჟისორი ოთარ კუტალაძე, რომლის პრემიერა 28 იანვარს ვუჩვენეთ მაცურებელს.

4, 5 და 6 იანვარს ჩავატარეთ უფასო საახალწლო სპექტაკლები „სახალწლო ზღაპარი“ ჩვენი პატარა მაცურებლებისათვის.

7 იანვარს ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან ერთად ვესტუმრეთ ასოციაცია „გურია“-ს ბენეფიციარებს, გადავეცით საახალწლო საჩუქრები და ვუჩვენეთ საახალწლო სპექტაკლი.

30 იანვარს დავიწყეთ მუშაობა ნ. ანთიძის პიესაზე „მუჭანახევარა“. სპექტაკლზე მუშაობდა მოწვეული რეჟისორი რევაზ ბაინაზიშვილი, აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. სპექტაკლის გამოშვების ვადა განსაზღვრული იყო მარტის თვის ბოლოს თუმცა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო მუშაობა შევწყვიტეთ.

პანდემიის დროს თეატრის თანამშრომლები საკუთარი ხელფასიდან შეკრებილი თანხებით შეძენილი პროდუქტებით დაეხმარნენ 12 მრავალშვილიან ოჯახს.

5 მარტს დავიწყეთ მუშაობა ს. ჭეიშვილის პიესაზე „დაიყვლე მამალო“, რომლის რეჟისორია ოთარ კუტალაძე. გამოშვების ვადა განსაზღვრული იყო აპრილის თვის ბოლოს.

მიმდინარე წლის 1 კვარტალში თეატრმა ჩაატარა 14 საქველმოქმედო სპექტაკლი.

ყოველ შაბათ-კვირას 21 საათზე ფეისბუქ გვერდის საშუალებით ვუჩვენებთ სპექტაკლებს მიმდინარე რეპერტუარიდან ჩვენს პატარა მაცურებლებს.

მ/წლის 27 ივლისს შედგა პრემიერა ნ. ანთიძის პიესის „მუჭანახევარა“.

1 სექტემბრიდან 6 სექტემბრის ჩათვლით ჩვენმა თეატრმა მონაწილეობა მიიღო თოჯინების თეატრების ფესტივალში „მზიანი საქართველო“, რომელიც ჩატარდა ქობულეთში. ფესტივალში მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის თოჯინების და დრამის სახელმწიფო თეატრები. ჩვენმა თეატრმა წარმოადგინა პრემიერა „მუჭანახევარა“. სპექტაკლს გადაეცა გრანპრი, ნომინაციებში: საუკეთესო სინქრონი, საუკეთესო რეჟისურა, საუკეთესო მხატვრობა, საუკეთესო მუსიკა. საუკეთესო მამაკაცის როლის შემსულებლად დასახელდა ჩვენი მსახიობი გურამ კეკელიძე. ასევე, საუკეთესო მერად დასახელეს ბატონი კონსტანტინე შარაშენიძე და ფესტივალის ორგანიზატორების მიერ გადაეცა ფესტივალის ოქროს დიპლომი.

ჩვენი სპექტაკლი ნოემბრის თვეში მიწვეულია ქალაქ თბილისში, სადაც თბილისელ მაყურებელს შეეძლება თხილონ გამარჯვებული სპექტაკლი.

მ/წლის 30 სექტემბერს დამთავრდა მუშაობა და შედგა პრემიერა ნ. იონათამიშვილის პიესის „თაგუნის გასაჭირი. სპექტაკლის რეჟისორად მოწვეული იყო აჭარის დამსახურებული არტისტი ვახტანგ გიგინეიშვილი.

28 ოქტომბერს დამთავრდა მუშაობა და შედგა შიდა პრემიერა ო. კუტალაძის პიესის „მოგზაურობა ზღაპრულ სამყაროში“.

წლის განმავლობაში ჩატარებული გვაქვს 32 სპექტაკლი და 9 საქველმოქმედო ღონისძიება, ასევე მოვახდინეთ მიმდინარე წლის ბიუჯეტის კორექტირება და აუთვისებელი ხარჯებით დავიწყეთ მაყურებელთა დარბაზის რემონტი, რაც ჩვენი თეატრისთვის ყოველთვის პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა, გავარემონტეთ ჭერი და ჩავსვით ფანჯრები. გასაკეთებელია იატაკი, კედლები დასამონტაჟებელია გახმოვანების აპარატურა, შესაცვლელია კარებები, მოსაწყობია სკამები. ყოველივე ეს გათვალისწინებული გვაქვს 2021 წლის ბიუჯეტში.

ა.(ა).ი.პ .ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინებისა და

მოზარდ-მაყურებელთა პროფესიული თეატრის

დირექტორი :

ლ. კუტალაძე